დიდი მონაცემების დამუშავება. ფრეიმვორკები და ინსტრუმენტები

გ. ბესიაშვილი, პ.ქარჩავა

ტერმინი „დიდი მონაცემები“ დაკავშირებულია მონაცემთა იმდენადც დიდ ნაკრებთან, რომ მათი დამუშავება მონაცემთა დამუშავების სტანდარტული მეთოდებით შეუძლებელია. ტერმინის ფართოდ დამკვიდრების შემდეგ არ შეწყვეტილა სამუშაოები დიდი მონაცემების დამუშავების სისტემების შექმნაზე. შედეგად შემუშავებული იქნა მრავალი სისტემა მონაცემების ანალიზის, შენახვის და დამუშავებისთვის, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ნაკლოვანება და უპირატესობა. სწორად შერჩეული ტექნოლოგიების შემთხვევაში დიდი მონაცემების დამუშავება პროცესი შესაძლებელია გარკვეულწილად გამარტივდეს და დაჩქარდეს. წინამდებარე შრომაში განხილულია დიდი მონაცემების დამუშავების, შენახვისა და ანალიზის არსებული ტექნოლოგიები და მათი მახასიათებლები. ავტორების მიერ შემოთავაზებულია რჩევები კონკრეტული საქმიანობისთვის ტექნოლოგიების შერჩევასთან დაკავშირებით.